საქართ. მემარცხ. სოც.-დემ. სარეკვ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 428 შაბათი, მარტის 24 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

შაბათს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე
დანიშნულია
ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: ზემო-ავჭალის გიდრო-ელექტრო. სადგურისთვის ტურბო-გენერატორის აგრეგატების შესაკვეთად. პეტროგრადის მანქანების საალმშენებლო ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება.

აღმასკომის ყველა წევრებისთვის დასწრება სავალდებულოა.

306—2—2 **პრეზიდიუმი.**

უიმედოების მორევში.

რურის ოლქის ოკუპაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. საფრანგეთის იმპერიალისტები განაგრძობენ მტაცებლური პოლიტიკის წარმოებას გერმანიის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

ამ სამიოდე თვის წინედ, როდესაც პირველად შეიჭრა საფრანგეთის ჯარი რურის მიდამოებში, პუანკარეს გეგმებში მეტი ოპტიმისტური ხაზები მოსჩანდა, ვინემ დღეს. საფრანგეთის ბურჟუაზიის აღვირახსნილობის საზღვარი მარტო რურის მდიდარი ოლქის ხელში ჩაგდებით არ ამოიწურებოდა. იმპერიალისტური ბურჟუაზია ახალ გალაშქრებით ბევრ რასმე მოელოდა. გერმანიის ეკონომიური ძარღვების მოშლა-განადგურება და ამ გზით გერმანიის საშიშროების ერთხელ და საბოლოოდ თავიდან აშორება,—აი რას ეტრფოდა პრეზიდენტი პუანკარე, რაზედაც ოცნებობდენ ფრანგ კაპიტალისტები. როგორც ვიცით, პუანკარემ სწორი ხაზი აიღო თავის მიზნისაკენ მიმართული. მან წამოაყენა ლოზუნგი: „წინ ბერლინისაკენ“: ამ ლოზუნგის რეალიზაცია არსებითად იმას კი არ ნიშნავდა, რომ საფრანგეთის იმპერიალიზმი გერმანიას საფრანგეთის რკალში მოაქცევდა, გერმანიას სამუდამოდ დაიპყრობდა. არა, ამ ლოზუნგის მნიშვნელობა და აზრი ერთ გარკვეულ მიზანში ისახებოდა, სახელდობრ—მთელი გერმანიის საფრანგეთის საექსპლოატაციო კოლონიად გადაქცევაში. ბერლინში საფრანგეთის ჯარების შესვლა პუანკარეს გეგმებს უსათუოდ გაანაღდებდა. გერმანია იძულებული შეიქნებოდა არა მარტო ვალების გადახდის პირობაზე მოეწერა ხელი, არამედ წასულიყო მისთვის მეტად საბედისწერო დათმობებზე...

ამ ჟამად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საფრანგეთის ბურჟუაზიულ წრეებში უკვე გაისმის უკმაყოფილების ამოძახილი. კაპიტალისტური საზოგადოებრივი აზრი გარდატეხის გზას დაადგა. ოკუპაციის ჟინით გამსჭვალული საფრანგეთის მთავრობა უკვე ახდენს საკუთარ გადადგმულ ნაბიჯების რევიზიას. ღირებულებათა ხელახალი გადაფასების საჭიროება აიმართა მის წინაშე. აშკარაა, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც საფრანგეთის ბურჟუაზიის მეთაურები სავსებით ახალ ლოზუნგს წამოაყენებენ, ახალ გზებსა და ტაქტიკას გამოსძებნიან. უკან პარიზისაკენ! ასეთი იქნება მათი სამოქმედო გეზი.

რამ იქონია გადამჭრელი გავლენა საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გარდატეხაზე? რამ დააყენა საფრანგეთის ბურჟუაზია სანტიმენტალ გუნებაზე? რასაკვირველია, ამის მიზეზები უეჭველად მრავალია. აღსანიშნავია უმთავრესად ორი მომენტი.

ჯერ კიდევ ოკუპაციის დაწყების პირველ დღეებში ინგლისის ბურჟუაზიულ და „სოციალისტურ“ პრესამ უწინასწარმეტყველა საფრანგეთის იმპერიალიზს სრული დამარცხება გერმანიის ტერიტორიის დაპყრობის საქმეში. მართალია, ინგლისის იმპერიალიზმისათვის არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის იმპერიალიზმის გაძლიერება, ვინემ თანამედროვე გერმანიის მოლონიერება. მაგრამ ინგლისის ლენდ ლორდების ლოლიკაში ჭკუა იხატებოდა: როგორ შეეძლო საფრანგეთის კაპიტალისტურ მთავრობას რურის ოკუპაციის საშუალებით გერმანიაზე გაცემულ თამასუქის—ვალების განაღდება მოეხდინა, როდესაც თვით ოკუპაცია გაცილებით მეტ ფინანსიურ ხარჯებს მოითხოვდა, ვინემ სარეპარაციო პირობების ასრულება გერმანეთის მიერ. ოკუპაციის პირველ თვემ საფრანგეთის სალარო 34 მილ. ფრანკით შეამცირა, მეორემ—37 და მესამემ—42. ეგ ჯამი დაახლოებით იმას შეადგენს, რაც გერმანიას უნდა გადაეხადა. აშკარაა, ამ შემთხვევაში არაა მიზანშეწონლება დაცული საფრანგეთის კაპიტალის მაგნატების მოქმედებაში. საფრანგეთის ბურჟუაზია ბუჰბგალტერიაში ჩეცდა. ამ შეცდომამ ჩააყენა იგი საბედისწერო ქუჩაბანდში.

რურის ოლქის დაპყრობისაგან საფრანგეთი ერთ რამეს მოელოდა,—სახელდობრ—რურის სიმდიდრეს ეკონომიურ ექსპლოატაციის ქვეშ მოქცევას. ცნობილია რურის ქვა-ნახშირი არა მარტო ევროპის, თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ მიაღწიეს საფრანგეთის კაპიტალისტებმა რურის ეკონომიურ სიმდიდრის სისტემატიურ ექსპლოატაციის მიზანს? ცხადია არა. ამას აღნიშნავს არა მარტო ინგლისისა და გერმანიის პრესა, არამედ საფრანგეთის მთავრობის ოფიციალი ორგანოებიც.

კითხვა ისმება: რომ შეუშალა ხელი საფრანგეთის ბურჟუაზიას რურის ოლქის ეკონომიურ სიმდიდრის სისტემატიურ ძარცვის სფეროში? ამის პასუხი აშკარა და ნათელია: გერმანიის მუშათა კლასის, უკეთ რომ ვსთქვათ, რურის ოლქის მუშების ბრძოლამ საფრანგეთის იმპერიალისტურ გამოლაშქრების წინააღმდეგ. რურის ოლქი მდიდარია არა მარტო ეკონომიური წყაროებით, არამედ ქარხნის მუშების მრავალრიცხოვან ლეგიონებით. მთელი გერმანიის მუშათა კლასის 18 პროცენტი რურის ქვანახშირის მაღაროებსა და ფაბრიკა-ქარხნებშია დაბანდებული. გერმანიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ლოიალი გზა აირჩია საფრანგეთის აგრესიული იმპერიალიზმის მიმართ, იგი დუმილის პოლიტიკით ხელმძღვანელობს. მაგრამ ასე არ უყურებს გერმანიის გლეხი და მუშა შექმნილ პირობებს. გერმანიის პროლეტარიატის გზა ბრძოლის გზაა, რომელიც მიემართება გამხეცებულ ბურჟუაზიის სულისკვეთების გაცამტვერებისაკენ.

მართლაც და, მეტად სახახელო ფურცლები იკინძება რურის მუშათა კლასის ისტორიაში. არ დარჩენილა არც ერთი ქარხანა, არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო საწარმო ორგანიზაცია, რომელსაც გვერდი აეხვიოს ოკუპანტებთან აქტიური ბრძოლაში. მასიური გაფიცვები, მასსიური დემონსტრაციები, პოლიციელებთან შეტაკება და სისხლის ღვრა, წარმოების შეჩერება, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა მიერ მოვალების ასრულებაზე ხელის აღება, და მრავალი მზგავსი მაგალითები, აი რა პასუხი მიიღეს საფრანგეთის იმპერიალიზმის მოციქულებმა რურის ოლქის მუშათა კლასისაგან. არც ერთი ფუთი ნახშირი საფრანგეთის მტარვალებს, გაიძახის გერმანიის მშრომელი მასსა. ამ მიმართულებით გერმანიის ხალხის ბრძოლა დღესაც გრძელდება და უეჭველია, რომ ამ ბრძოლის დადებითი შედეგები სამართლიანობის დამცველთა მხარეზე იქნება. რურის მუშები აკეთებენ უდიდეს ეროვნულ საქმეს.

თანამედროვე ხანა მონობის დრო არა. მეოცე საუკუნე ეროვნულ და ეკონომიურ ურთიერთობის ძირ ბუდიანად აღმოფხვრის საუკუნეა. კაცობრიობა ისტორიულის აუცილებლობით მიილტვის მონობიდან თავისუფლებისაკენ. ბურჟუაზიის ნებასა და ძალღონეს აღემატება ისტორიის ჩარხის უკულმა დატრიალება. მსოფლიო მაშტაბით წარმოებული აშკარა, თუ ფარული ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შუა უეჭველია პირველის გამარჯვებით დასრულდება. ისტორიის დემიურგი მხოლოდ მშრომელთა კლასია!

საფრანგეთის მიერ გერმანიის ხელში ჩაგდება უბრალო ოცნებაა. არც ეკონომიურად და არც კულტურულად საფრანგეთი არ სდგას გერმანიაზე მაღლა. გერმანიის გასაფრანგეთება არა მარტო რურის ოკუპაციითაა შესაძლებელი არამედ მთელი გერმანიის „დაპყრობითაც“ კი ფუჭი ფანტაზიაა' მოკლებული ყოველგვარ ღირებულებას.

რურის ოკუპაციამ საფრანგეთის ბურჟუაზია ლოიკურ რკალში ჩააყენა: პუანკარესათვის **ოკუპაციის გაგრძელება იმდენად საზარალოა, რამდენად მასზე ხელის აღება.** დაალწევს იგი თავს ამ კოლიზიას? ამის პასუხს მოგვცემს ახლო მომავალი.

გ. მუშიშვილი.

საბჭოთა წყობილება და პოლიტიკური პარტიები

საბჭოთა წყობილების დამყარებამ საქართველოში განსაკუთრებული პირობები შეუქმნა პოლიტიკური პარტიების მუშაობას. საბჭოთა წყობილების დამყარებას არ შეიძლებოდა არ გამოერკვია პარტიათა პლატფორმა და პოზიცია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დემოკრატიული წყობილება ხელს არ უწყობს პარტიების შინაბუნების გამოაშკარავებას. მართალია ერთი შეხედვით დემოკრატია და პარლამენტარიზმი საუკეთესო საშუალება უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიათა ფიზიონომიის გამოაშკარავების, მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე მოჩვენებაა, რომელიც გაქრება მსუბუქი ოპერაციის წყალობით.

დემოკრატიულ წყობილებაში პარტიებს საშუალება აქვთ პოლიტიკური სპეკულიაციის ფართოდ გაშლისათვის. აქ შესაძლებელი ხდება პარტიისათვის ორი პროგრამის არსებობა რომელთა შორის ერთი საპროპაგანდო საშუალებას წარმოადგენს და ყოველდღიური პოლემიკის საგნად არის გამხდარი, ხოლო მეორე პარტიის არსებითი ინტერესების ანარეკლია და უხმოდ ტარდება ცხოვრებაში, ან და გამოსავალი წერტილია პარტიის რეალური პოლიტიკის. ამ დებულების ილიუსტრაციას მრავლად იძლევა ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, რომელსაც წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

პარლამენტში გამართულ ბრძოლის დროს შესაძლებელია ყველა მებრძოლნი „ხალხის კეთილდღეობისა“ და „მუშათა ინტერესების“ არგუმენტებით იბრძოდენ, მაგრამ საკმაოა ბრძოლამ გადალახოს პარლამენტის საკარძლები და გადავიდეს ქუჩაში, რომ პოლიტიკურ პარტიათა ჩამოყალიბება მოხდეს არა იმ წესით, როგორადაც იგი იყო წარმოდგენილი პარლამენტში.

ქუჩაში გადატანა ბრძოლის, რევოლიუციონური გამოსვლები და საზოგადოებრივ ძალთა უშუალო შეჯახება, პოლიტიკურ პარტიებს არ აძლევს საშუალებას ორმაგი პოლიტიკის წარმოებისათვის. პარტია იძულებული ხდება ან მარჯვნით წავიდეს ან მარცხნით, რადგან საშუალო ადგილს უკვე იჭერს ბარიკადი, რომელზე მოსეირნეს არ ასცდება არც ერთი მხრიდან გასროლილი ტყვია.

ასეთ პირობებში ხდება პარტიათა ხელ ახალი გადაჯგუფება და ნათლად ისახება ფიზიონომია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამართულ ბრძოლაში.

პოლიტიკური ვითარების გართულების და კლასთა დაპირისპირების ფაქტმა შეუწყო ხელი იმ ფორმაციას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს მსოფლიო მაშტაბში პოლიტიკური პარტიების ირგვლივ. გერმანეთის დამოუკიდებელთა ბედი იტალეთის სოციალისტური პარტიის დაუსრულებელი აგონია, საფრანგეთის სინდიკალისტებში არსებული ჭიდილი, ამავე ქვეყნის კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობა და ეგ. წოდებულ რეფორმისტულ კომუნიზმის აღმოცენება ფროსარის ხელმძღვანელობით და სხ. და სხ. კონკრეტი ფაქტებია ამ მხრივ.

საქართველოშიაც, საბჭოთა წყობილების დამყარებამ, როცა საზოგადოებრივ ძალების დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო, პარტიათა ურთიერთობასაც ახალი პირობები შეუქმნა. ის პარტიები, რომელნიც ვითომც ერთმანეთს შორის იბრძოდენ, დღეს ერთ კოალიციაში მოექცნენ. ვინც გუშინ ვითომც „არც აქვთ არც იქეთ“ პოლიტიკის ნიადაგზე იდგა, დღეს უკვე ან აქეთ ან იქეთ პოლიტიკას დაექვემდებარა.

მენშევიკები, ნაც.-დემოკრატები, მემარჯვენე ფედერალისტები და სხვა წვრილი პოლიტიკური ჯგუფები უკვე ერთ კოალიციაში ჩამოყალიბდა და ამ მხრივ მათი პოლიტიკური ფიზიონომია სავსებით ნათელი გახდა ქართველი მშრომელი ხალხისათვის.

კომუნისტები, ჩვენ, ყველა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე მდგომნი დაუპირდაპირდით ამ კოალიციას.

დღეს, ერთ-ერთი მიზეზი მენშევიკების დაშლისა და საერთოდ მემარჯვენე პარტიებისადმი მასის ნდობის დაკარგვისა ისიც არის, რომ საბჭოთა წყობილებამ, როგორც მშრომელთა კლასობრივი ბატონობის იარაღმა, ბოლო მოუღო იმ ყალბ პათოსს, რომელიც შესაძლებელი იყო მემარჯვენე პარტიების მიერ დემოკრატიულ წყობილებაში.

ის უბრალო ფაქტი, რომ შეიძლება დღეს ერთად იხილავთ მენშევიკს, მემარჯვენე ფედერალისტის, და ნაც.-დემოკრატის, იმის მაჩვენებელია, რომ ამ პარტიათა შორის მხოლოდ სიტყვიერი ბრძოლა იყო გაჩაღებული და უმთავრესში, რაც წარმოადგენს კაპიტალისტური წყობილების დაცვას, ისინი მუდამ და დღესაც შეთანხმებული იყვენ და არიან.

დღეს ყოველივე მზის სინათლეზე არის გამოსატანი. დღეს ფართო მასამ იცის ვინ სად მიდის, რომელი პოლიტიკური პარტია რა მიზნებს ემსახურება, ვინ ვისთან ერთად იბრძვის და ვინ ვის ებრძვის.

ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური აღზრდისათვის. ქართველი ხალხის პოლიტიკურ განვითარებას ეს დიდათ წასწევს წინ. მშრომელი მასა დაინახავს, სად და ვისთან უნდა იბრძოლოს.

ხ.—ელი.

მეტი ყურადღება სოფელს

ახლა შევიხედოთ თვით სოფელში და თვალი გადავავლოთ დაკვირვებით მის მდგომარეობას!

უეჭველად თვალწინ წარმოგიდგებათ უსწორ-მასწორო ვიწრო გზები ჩეჩქითა და ნაგვით ავსილი, რომელშიაც წვიმებსა და შემოდგომობით, ან ზამთრობით ჯოჯოხეთს წარმოადგენს იქ გავლა, ისეთი ტალახებია!..

უგეგმო აჩხა-ბაჩხა მიბრეკილ-მობრეკილი გლეხის მოსახლეობა, რომელსაც აშკარა შეუგნებლობისა და უკულტურობის ბეჭედი აზის ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს შეგნებულ ადამიანზე და ძალა-უნებურად ეკითხები გაკვირვებული შენს თავს ჩანაღვლიანებული:

— ნუ თუ მეოცე საუკუნეში ასეთ სურათს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი სოფელი, როდესაც კულტუროსან ქვეყნებში სოფელი არ განირჩევა სასუფთავე-სილამაზის მხრივ ქალაქისაგან და თვით გლეხის მოსახლეობაც რიგიანათ და შნოიანათ არის მოწყობილი?..

ამ შემთხვევაში გერმანიიდან გადმოსახლებულ „კოლონისტებისაგან“ მაინც გვესწავლა რამე და მიგვეგებაძნა მათი მაგალითისთვის, რომელნიც დასახლებულან ჩვენს მიწა-წყალზე და ისე მოუწყვიათ ცხოვრება, რომ მათი სოფლები ბევრათ სჯობია არამც თუ ჩვენს სოფლებს, თვით ჩვენს ქალაქებსაც თავიანთ სილამაზე სისუფთავით და წესიერ მოსახლეობითაც არ ჩამოუვარდება.

რა არის უმთავრესად ჩვენი სოფლების ჩამორჩენის მიზეზი და რა უშლიდა ხელს მის კულტურულად განვითარების წინმსვლელობას?

როგორც მოგეხსენებათ ამას მრავალნაირი მიზეზები ჰქონდა წარსულში და თუ ჩაუკვირდებით ამ მიზეზებს ადვილი ასახსნელია თუ რათ ჩამორჩა ჩვენი გლეხი ცხოვრებას.

ბატონ-ყმობის ხანას რომ თავი დავანებოთ, რომელიც საშინელ სურათს წარმოადგენდა გლეხის დამონავება-პირუტყვად ქცევისას, არც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გაუმჯობესებულა გლეხის მდგომარეობა და ის ისევ საწყელ ფურად იყო გადაქცეული, როგორც უსაქმურ მოხეტიალე თავადაზნაურობისთვის, რომელნიც ქეიფის მეტს არაფერს აკეთებდნენ, ისე იმ ხროვა რუსის „ჩინოვნიკ“ მოხელეებისთვის, რომელნიც მრავლად იყვნენ გაბნეულნი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან მოვლენილ-წარმოგზავნილნი.

ეს მოხელეობა მძიმე ლოდად აწვა გლეხობას და „ბრწყინვალე“ წოდებასთან ერთად ცხრა პირტყავს აძრობდნენ სოფელს!..

ამ შემთხვევაში სად სცალოდა გლეხს, რომ თავის-თავზე ეფიქრნა ჭკუა-დალაგებით?

მაშ რა იყო გლეხის ფიქრი, რა შეადგენდა მის საზრუნავს?

ორიოდე დღის სახნავ-სათესის შოვნა, სახელმწიფო გადასახადების გასტუმრება, დრამის მიცემა მღვდლისთვის, ღალის მიცემა მემამულისთვის, მევახშის მოშორება,—აი ყველა ის რაც გლეხს აწუხებდა და სტანჯავდა მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში!..

ვინ ზრუნავდა გლეხისთვის?

თითქმის არავინ. ის უმწეოდ იყო ბედის ამარად მიგდებულ-მივიწყებული და ჩაჭყურებდა შავ მიწას თვალ-ცრემლიანი!

სანთლით საძებარი იყო წარსულში სოფლად განათლებული ადამიანი, რომელსაც გლეხისთვის გული დაეწოდა და მასთან ერთად ჭირ ვარამს გაიზიარებდა.

ამნაირები, რასაკვირველია თვით გლეხების წრიდან უნდა გამოსულიყვნენ, რომ მათთვის გული დასწოდათ და მოზიარე გამხდარიყვნენ მათი ბედისა, ხოლო ეს კი სამაგალითო მოვლენა იყო, რადგან სწავლა-განათლება „უმაღლესი“ წოდებისთვის იყო და გლეხისთვის კი, რომელსაც ხელი არ მიუწვდებოდა უცნობ ხილს წარმოადგენდა!..

მაშ ვინა წინამძღოლობდა სოფელს, ვინ ედგა განუყრელად გლეხს თვალწინ?

ორ-სამ კლას გათავებული თავადი, ან აზნაური, რომელიც გამოწყობილიყო ჩოხაში, ეერცხლის ქამრით, შეეერცხლილ ხმალ-ხანჯლით და რევოლ-

ვერით შიარალებული, რომელნიც უშრომლათ შეექცეოდნენ გლეხის მონაგარს და ღვინით გაბრუებულნი გაჰკიოდნენ: „ოჯდელია, დელია, საქართველო ჩვენია“!..

ჩარჩ-წურბელა ვაჭრები, რომელნიც სოფლიდან სოფელში დაწოწიალებდნენ და ჩალის ფასად აცლიდნენ ყველაფერს ხელიდან გლეხს თუ კი რანე მოეპოებოდა გასასყიდად.

კიდევ?

მუქთა-ხორა „სულიერი მამანი“, რომელნიც წლითი-წლობით ტაბლა-ქელეხების ჭამაში ატარებდა უსაქმურ ცხოვრებას, ხოლო კალოს დროს ჩანაბითა და ტომრით დაადგებოდნენ გლეხს თავზე დრამის ასაკრეფად!..

ერთი სიტყვით, როგორც ზევით მოგახსენეთ სოფელს არა ჰყავდა რიგიანი წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი და მისთვის ისინი რა თავს შეიწუხებდნენ, რომელთათვისაც გლეხი მხოლოდ ყმას, მსახურს წარმოადგენდა?

ჩვენი თავად-აზნაურობა კი თავს არ იწუხებდა კულტურული ცხოვრებისთვის ოღონდ მას ქეიფში გაეტარებინა თავის სიცოცხლე და სახარჯოფული ნუ შემოაკლდებოდა თორემ სხვა რას ღაგიდევდა!..

სოფლის გულშემატკივარი ინტელიგენცია, თუ კი ვინმე მოიპოებოდა ასეთი, მომეტებულ წილად ქალაქებში ატარებდა ცხოვრებას და გაურბოდა სოფელს. ვინც კი ცოტაოდენს ისწავლიდა ის უეჭველად ქალაქს მიაშურებდა, იქ რომელიმე „კანცელარიაში“ უბრალო „ჩინოვნიკობას“ რჩეობდა ვიდრე სოფელში ეცხოვრა და გლეხებთან გაეწია ცხოვრების ჭაპანი, მას სათაკილოდ მიაჩნდა მიწაზე მუშაობა!

ჩვენი სოფლის გულშემატკივრების საქმიანობა ცარიელი სიტყვით თუ შეიძლებოდა და ხანდისხან გაზეთის ფურცლებზე წერით, ხოლო საქმით, ცხოვრების სინამდვილეში—მათ არაფერი იცოდნენ გლეხის ჭირ-ვარამზე.

სოფლის ცხოვრება კარჩაკეტილი იყო მანამდის, სანამ თვით გლეხის ოჯახიდან არ გამოვიდნენ გლეხისავე შვილები ქალაქად სახელოსნოებში და მათ არ შეიტანეს სოფლად შეგნების სხივი.

მუშების წყალობით გამოერკვია სოფელი საღათას ძილს და თუ მჩაგვრელ თვითმპყრობელობისა და მათი ამყოლ-დამყოლ თავად-აზნაურებისა და ყველა მუქთა ხორების წინააღმდეგ მახვილი ამართა მათ ერთხელ და სამუდამოდ მოსაშორებლად, ეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც მოგახსენეთ ქალაქის მუშის დახმარებით მოხდა, რადგან ქალაქის მუშა გლეხის ოჯახის ღვიძლი შვილი იყო, მისი წიაღიდან გამოსული.

დღეს თითქმის მიზანს მივაღწიეთ, რაც უმთავრესი იყო ჩვენი ჩაგვრისა, როგორც ეროვნულ-პოლიტიკურად, ისე სოციალურად, თვითმპყრობელობა ნიკოლოზისა მოვიშორეთ, ისტორიას ჩაბარდა, ეხლა ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის, ქალაქის მუშებს და სოფლის გლეხებს, ჩვენს შეგნებულ მუშაობაზეა დამოკიდებული, როგორც ჩვენი კერძო ცხოვრების გაუმჯობესება და სოციალურად უზრუნველყოფა ისე ჩვენი სამშობლოს კათილდღეობა და მისი უკეთესად მოწყობა.

როგორც თვითმპყრობელურ ულლის გადაგდებაში გაუწია ქალაქის მუშამ სოფელს წინამძღოლობა, ისე მის მოწყობა აღმშენებლობაში უნდა გასწიოს მოწინავეობა, შეაგნებინოს გლეხს მისი ავკარგი და გააგებინოს ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, რა აწუხებს, ან რა ალხენს.

თუ ქალაქის მუშები ამ მეტად სასახელო როლს შეასრულებენ, ჩვენ სულ ახლო მომავალში დავინახავთ, რომ თვით სოფლად, გლეხებიდან გამოვლენ ისეთი მუშაკები, რომელნიც ჩვენზე, ქალაქის ჰუშებზე უკეთესად უპატრონებენ სოფელს და ქალაქის მუშებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გაიკაფავენ გზას უკეთეს მომავლისაკენ.

ხოლო დღეს, როდესაც ახალი ხანა იწყება ჩვენს ცხოვრებაში და თვით მუშებსა და გლეხებს არგუნა ბედმა თავიანთ მოვლა-პატრონობა, რაც ჯერ არსად ნახული მოვლენა არის მთელ ქვეყანაზე ვინ იზრუნებს სოფელზე, თუ არა თვით გლეხები და მუშები?!.

მაშ მტკიცედ და ენერგიულად შეუდგეთ ამხანაგებო ჩვენი საერთო საქმის მოწყობას, საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებას, ვიმუშაოთ საერთო ძალით უკან ჩამორჩენილ სოფლებისთვის და დავიხსნათ სოფელი იმ უვიცობა-სიბნელისაგან, რომელიც დაასვა დაღად უკულმართმა წარსულმა, თვითმპყრობელობის რეჟიმმა.

და გვწამდეს, რომ გამარჯვება ჩვენია, რადგან ჩვენი ხელისუფლება არაფერს არ დაზოგავს და ყოველნაირად დაგვეხმარება!..

დვანელი გლეხიშვილი.

რადიო დეკეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ლუშერის გეგმა.

მოსკოვი, 23 მარტი. „დეილი ქრონიკლი“ აღნიშნავს, რომ ლუშერის გეგმა, რომლითაც რეინის ოლქი უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ, ეწინააღმდეგება არა თუ ვერსალის ხელშეკრულებას, არამედ ყველა საერთაშორისო ნორმებს. თუ ერთა ლიგა მოიწონებს ასეთ გადაწყვეტილებას, მას საბოლოოდ დაეკარგება პრესტიჟი.

მრეწველები უკმაყოფილონი არიან.

მოსკოვი, 23 მარტი. საფრანგეთის მსხვილი მრეწველების ორგანო არსებითად აკრიტიკებს საფრანგეთის პოლიტიკას რურის საკითხში და ილაშქრებს პუანკარეს წინააღმდეგ, რადგან ის არ უწევს ანგარიშს მრეწველებს რურის საკითხში.

პირველი ნაბიჯი დაცემისაკენ.

ბერლინი, 23 მარტი საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრები-რადიკლები ილაშქრებდენ რა რურის ოკუპაციისათვის კრედიტების მიცემის წინააღმდეგ, რომელსაც მოითხოვდა საფრანგეთის კაბინეტი, აცხადებდენ, რომ რურის საკითხს საარსებო მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვის და რურის ოკუპაციის უშედეგობა იქნება უფსკრულში დავარდნის დასაწყისი.

ამერიკის დაჯილდოება.

პარიზი, 23 მარტი. დანიშნულია კომისიის სხდომა რეინლანდის ოკუპაციის გამო ამერიკისათვის ჯილდოს მიცემის საკითხის განსახილველად.

გააქვთ კოქსი.

პარიზი, 23 მარტი. ბლიუმენტალის მაღაროებში გრძელდება ოკუპანტების ძალებით კოქსის გადაზიდვა. გერმანიის მემაღაროები არ შეუდგენენ მუშაობას.

გენერალების ბრძანება.

პარიზი, 23 მარტი. ბონში გაიმართა გენერალ-დეგმუტის თათბირი ინგლისელ და ბელგიის უმაღლეს კომისრებთან, რურში და რეინლანდში ოკუპანტების მოქმედების შეთანხმების მიზნით.

ახლო აღმოსავლეთი

ხამი კომისია.

ბერლინი, 23 მარტი. ლონდონის თათბირმა, რომელზედაც ირჩევა ოსმალეთის კონტრ-წინადადებები, გამოჰყო 3 კომისია: პოლიტიკურ-იურიდიული, საფინანსო და ეკონომიური. მოკავშირეების პასუხი ოსმალეთის პროექტზე გამოქვეყნებული იქნება მხოლოდ თათბირის მუშაობის დამთავრების შემდეგ.

საბერძნეთის რკინის-გზები უცხოელებს.

ბერლინი, 23 მარტი. ათინიდან მიღებული ცნობებით, საბერძნეთის მთავრობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე, რომლითაც საბერძნეთის ყველა რკინის-გზები გადაეცემა 15 თვის ვადით. ექსპლოატაციისათვის უცხოელებს.

ინტერესები სრულიად-რუსეთის სახოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი.

ანგორა, 23 მარტი. ცნობამ, იმის შესახებ, რომ აგვისტოში მოსკოვში გაიხსნება სრულიად-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ოსმალეთის საზოგადოებაში გამოიწვია გამოძახილი. ეკონომიის კომისარმა დაგზავნა ცირკულიარი, რომლითაც მოითხოვს დამზადებული იქნეს ექსპონატები გამოფენაზე გასაგზავნად. სმირნაში ყოფნის დროს, საბჭოთა რუსეთის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა არალოვმა გაუგზავნა ეკონომიურ თათბირს წინადადება, რათა ამოგზავნონ დელეგატი გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. არალოვის მიწვევას კონგრესის სხდომა შეხვდა მჭუხარე ტაშის სალამით.

ევროპით უკმაყოფილო არიან.

ანგორა, 21 მარტი. ანგორის პრესის დღევანდელ გამოცემებში გამოსჭვივის უკმაყოფილება ევროპით, „ენი ძიუნი“ განაგრძნობს ინგლისის და კერძოთ კერზონის პოლიტიკის კრიტიკას. „ხაკი მიეტ მილლიჯ“ ეკამათება საფრანგეთის პრესას და აცხადებს, რომ ოსმალეთი მზად არის კიდევ მრავალი წლობით იყოლიოს არმია იარაღ ქვეშ.

ახლო-აღმოსავლეთის საკითხი.

მოსკოვი, 23 მარტი. ლონდონში, 21 მარტს კერზონის თავმჯდომარეობით გაიხსნება მოკავშირეთა ექსპერტების კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება ოსმალეთის კონტრ-წინადადებები. ოფიციალური ცნობის თანახმად კონფერენცია შეიმუშავებს ოსმალეთის კონტრ-წინადადებებისათვის საერთო პასუხს. ბონარ ლოუმ, თემთა პალატაში განაცხადა, რომ მოკავშირეები, როგორც სჩანს, მიაღწევენ სრულ შეთანხმებას და იმოქმედებენ ერთსულოვნად.

კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი, 23 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, ოქტომბერში დაპატიმრებულ კომუნისტების უმრავლესობა უკვე განთავისუფლებულია. ციხეში დარჩა კიდევ 7 კომუნისტი.

უცხოეთი

ხუმარა სოციალისტები

მოსკოვი 23 მარტი. მუშათა პარტიის წევრმა სნოუდენმა, რომელიც, იცავდა ინგლისის პარლამენტში მის მიერ შეტანილ პროექტს კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის შესახებ. თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, რომ კაცობრიობის ევოლიუციის ისტორია გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური სისტემა უნდა მოისპოს. მაგრამ სნოუდერმა მაშინვე დასძინა,—რომ მუშათა პარტიას არ აქვს განზრახული არც რევოლიუცია არც კონფისკაცია, არამედ ის ცდილობს, რომ მთავრობამ განაგრძნოს მუშაობა მომავალშიაც კაპიტალისტური სისტემის საფუძველზე, რაც შეიძლება სწრაფი ევოლიუციის გზით.

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის

მოსკოვი 23 მარტი, იაპონიის პარლამენტში ირჩეოდა წინადადება საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ, კაკუსინის პარტიის სახელით დეპუტატმა სთქვა: „იაპონიამ ვერ გაითვალისწინა, რომ რუსეთის მთავრობას ემხრობა მთელი რუსეთის ხალხი. თუ იაპონიას სურს შეუთანხმდეს საბჭოთა რუსეთს, მან პირველმა უნდა შესცვალოს თავისი პოლიტიკა. თუ მდგომარეობა მოითხოვს სახალინის ევაკუაციის ეს ასე უნდა მოხდეს“. კანსეკაის პარტიის წევრთა ნაწილი მხარს უჭერდა წინადადებას რუსეთის ცნობის შესახებ. წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი უშიდა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობა შეიძლება მხოლოდ მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შემდეგ.

აჯანყება ჯარებში

მოსკოვი მარტის 23. მარინეშტში რუმინიის ჯარებში, რომელთაც უკვე ორი თვეა არ მისვლიათ შემცვლელი ნაწილები, იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულები წინ მიიწევენ ქალ. პლოეშტოსაკენ. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა დამსჯელი რაზმი.

პუანკარეს განზრახვა

ბერლინი. მარტის 23-ს გაზ. „იუმანიტე“-ს ცნობით პუანკარეს განზრახული აქვს გაუშვას დეპუტატთა პალატა და დანიშნოს შემოდგომაზე ახალი არჩევნები.

არც ძალა აქვს და არც სურვილები.

ბერლინი. მარტის 23-ს ერთა ლიგის ინტელექტუალურ კომისიის წევრმა პროფ. ვინშეცენმა იაპონიიდან პარიზში მოგზაურობის დროს განაცხადა რომ ის გამოვიდა კომისიიდან რადგან დარწმუნდა, რომ ერთა ლიგას არ გააჩნია არც ძალა და

მენშევიკების პრიზისი

(ა. მარტინოვისა და ნ. რაკოვის წერილების გამო)

2

წინა წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ მენშევიზმის იდეოლოგიური კრიზისი ძველის ძველია და მას თავიდანვე დიდი იდეური ნათესაობა ჰქონდა რეფორმიზმთან. თავიდანვე მთელი მეორე ინტერნაციონალის პროგრამა და პოლიტიკა იყო წმინდა წყლის რეფორმისტული შინაარსისა. სიტყვიერი რევოლიუციონიზმი და საქმით აშკარა ოპორტიუნიზმი,—აი რა ახასიათებდა მთელს მეორე ინტერნაციონალსა და მასში შესულ სოციალისტურ პარტიებს. როდესაც გერმანეთში ბერშტეინის ხელმძღვანელობით ს. დ. პარტიაში განვითარდა რევიზიონიზმი, ხოლო საფრანგეთში მილიერანიზმმა იჩინა თავი და ამ გვარად პირველად იდეოლოგიურ და პრაქტიკული ნიადაგი ეყრებოდა თანამედროვე სოციალ-შემთანხმებლობის (რასაკვირველია ბურჟუაზიასთან) პროგრამას, გერმანეთისა და მთელი საერთაშორისო ს.-დემოკრატიის გენერალისიმუსები —ავ. ბებელი და კ. კაუცკი, კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ რევიზიონისტები პარტიის „კუნსტ-კამერებში“ ცხოვრობენ მთლად და ისინი ვერასოდეს ვერ ეღირსებიან გამარჯვებას პარტიაშიო. ბებელსა და კაუცკის წინასწარმეტყველობა ტრაბახი გამოდგა და თანამედროვე საერთაშორისო მიმდინარეობამ უდიდესი გამარჯვება მიანიჭა ბერშტეინიანიზმს, თვით ორტოდოქსმა კაუცკიმ ქედი მოიხარა მის წინაშე და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მიზანშეწონილ პროგრამად აღიარა რევიზიონიზმის გეგმები. ასე გაიმარჯვა ფაქტიურად რევოლიუციის პროცესში მე-XIX-ე საუკუნის დასასრულს პარტიულ „კუნსტ-კამერებში“ მომწყვდეულმა რევიზიონიზმმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა თეორიული კითხვების დისკუსიით დაიწყო და შემდეგ მთელი სოციალ-დემოკრატია პრაქტიკულად დააყენა თავისი გავლენის ქვეშ.

ასეთი მეტამორფოზა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებს, როდესაც წარმოიშვა სოციალ-დემოკრატია და თუ გავიგებთ მათ პროგრამის რაობას.

მენშევიზმი თავისი შინასრსითა და ისტორიული წარმოშვებით სამრეწველო კაპიტალიზმის ღვიძლი შვილია. ეს პოლიტიკური სოციალისტური მოძღვრება წარმოიშვა და გაიზარდა იმ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ასრულებდა პროგრესიულ როლს და მისი ზრდა და ესპინსია წარმატებით მიდიოდა წინ.

მე-XIX-ე საუკუნის უკანასკნელი ათეული წელი არის კაპიტალიზმის გიგანტიური ზრდისა და ფართოების წლები. საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ გერმანეთის, ამერიკის და იაპონიის მეტად გააცხოველა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება მთელს მსოფლიოში. ამავე პერიოდმა ჩაუყარა ნიადაგი კაპიტალიზმის შემდეგ სტადიას, ფინასიურ კაპიტალიზმს,სადაც კაპიტალისტურმა მონოპოლიურმა ტრესტებმა და სინდიკატებმა შესცვალეს კაპიტალისტურ მეურნეობის ინდივიდუალურ-ანარქიული სახე და კონცენტრაცია უმწერვალეს ხარისხამდე აიყვანეს. კაპიტალის ექსპორმა პირველი ადგილი მოიპოვა და აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის ჩამორჩენილ ქვეყნები შეიქნენ დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნების საექსპლოატაციო ობიექტები. ამ გვარად მთელი მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების ფერხულში ებმებოდა, აჩ არებულს ნაბიჯით ხდებოდა კაპიტალიზაცია მთელი კაცობრიობისა.

კაპიტალიზმის ასეთი მძლავრი ესპინსიისა და გაფართოვების პერიოდში წარმოიშვა მენშევიზმი, როდესაც სოციალური მოძღვრება, რომელზედაც არსებითი გავლენა მოახდინა სამრეწველო კაპიტალიზმის ასეთმა გიგანტიურმა ზრდამ და მას მეტად მომხიბლავი პერსპექტივები გადაეშალა წინ. •გრეთვე კაპიტალიზმის თვით ლიკვიდაციის თეორიამ, რომელსაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მარქსის მოძღვრებაში, გადამჭრელი როლი ითამაშა მენშევიკური იდეოლოგიისა და პროგრამის წარმოშობის საქმეში. (კაპიტალიზმი გიგანტიური ნაბიჯით მიეჭანება წინ, ბოლოს ის მიაღწევს თავის განვითარების უმაღლეს წერტილს და დაიწყება პერიოდი მისი თვით ლიკვიდაციისა, ფიქრობდნენ მაშინდელი მარქსისტები. ასეთი მსჯელობის საუცხოო ნიშნები მოგვცა ლიბკნეხტმა და ავ. ბებელმა 1891 წელს ერფურტის პარტეიტაგზე, როდესაც მათ გაიალაშქრეს მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ. პირველი ამბობდა: „ეკონომიური განვითარების შენება ისეთივე სიძლიერით, როგორითაც ის ზრდის, ბურჟუაზიის ძალას, ძირს უთხრის და არღვევს ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძვლებსა და დასაყრდენ სვეტს, **რომ კაპიტალიზმი თვით იკლავს თავის თავს,** ამიტომ რევოლიუციონური დასაწყისი სძევს არა საშუალებებში, არამედ მიზანში“... ლიბკნეხტი პათეთურად შესძახებს ოპოზიციონერებს. „ძალდატანება ყოველთვის იყო რეაქციონური ფაქტორი“.

გავიხსენოთ, რომ თვით მარქსი ძალდატანების შესახებ სულ სხვა გვარი შეხედულების იყო და თავისი „კაპიტალის“ უკანასკნელ თავში აღნიშნავდა „ძალდატანების“ დიდ პროგრესიულ მნიშვნელობას ასე დაიწყო პირველი რევიზია მარქსის რევოლიუციონური სტრატეგიისა.

საინტერესოა ავ. ბებელის სიტყვა იმავე პარტიტაგზე. ბებელმა საუცხოვო პრაქტიკული პოლიტიკა მოგვცა კაპიტალიზმის თვით ლიკვიდაციაზე აგებული. „მე ვფიქრობ,—ამბობს ბებელი, რომ ჩვენ გვაქვს ყველა საბუთები ვიყოთ კმაყოფილი საქმის მიმდინარეობით. მხოლოთ იმათ რომელთაც არ ძალუძთ განიხილონ პროცესი მთლიანად, შეუძლიათ იყონ სხვა შეხედულების. **ბურჟუაზიული საზოგადოება ისე ენერგიულად მუშაობს თავისი საკუთარი მოსპობისთვის, რომ ჩვენ დაგვრჩენიათ მხოლოდ უცადოთ იმ მომენტს, რადესაც ბურჟუაზიას ხელიდან გაუვარდება ძალა-უფლება, როს მაშინ ავკრიფოთ ის“** (იხ. ჩემი წერილები: „დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი“ „ტრიბუნა“ № 278 და სხ. 1922 წ.)

ამ სიტყვებში გამოთქმული არის მთელი კვანტ-ესენცია მენშევიკური აზროვნებისა. მენშევიზმი კაპიტალიზმის ესპანსიის პერიოდში აღიზარდა და განვითარდა. თავისი შეგნებით მენშევიზმი კომპრომისული და შეგუებითია. კაპიტალიზმის ზრდის პერიოდათ მან ეს თავისი კომპრომისული და შეგუებითი შეხედულება სავსებით გამოიყენა და მთელი თავისი პოლიტიკა შეათანაბრა კაპიტალიზმის განვითარების მომენტებს. კაპიტალიზმი თავისთავად, თავისი განვითარების იმანენტური კანონის ძალით თვითონ მიგვიყვანს სოციალიზმამდე, პოლიტიკურმა პარტიამ კი უნდა მისდიოს ამ განვითარებას და უნდა უცადოს ბურჟუაზიული წყობილების დამხობას თვით ლიკვიდაციის გზით. აი მენშევიკური პარტიის პრაქტიკული პოლიტიკის ფილოსოფია. ამ პოლიტიკიდან სავსებით განდევნილი არის რევოლიუციონური მეთოდები და პროლეტარიატის აქტიური ძალის გამოყენების ხანა. ასე განვითარდა „უმოქმედო ლოდინის თეორია და პოზიციაზე დგომა“, როგორც ეს დაახასიათა ჰოლანდიის მემარცხენე კომუნისტმა ანტონ პანეკუკმა მთელი მენშევიკური პარტია (ეს კიდევ) 1912 წ.

მენშევიზმი სავსებით შეეგუა კაპიტალიზმსა და მთელი მისი პოლიტიკა აგებული იყო და არის კაპიტალისტურ-მეურნეობის ნიადაგზე. აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ კაპიტალიზმთან ასეთს შეგუებაში გადამჭრელს როლს თამაშობს მათი პროგრამის მინიმუმი ტ დემოკრატიზმი. დემოკრატიზმი ეს ის მომენტია, რომლითაც მენშევიზმი ახერხებს კაპიტალიზმთან შეთანხმებას. დემოკრატიზმი მენშევიზმის პრაქტიკულ ფილოსოფიის წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნებას გამოხატავს, და დღემდე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ ვერ შესძლო თავის განთავისუფლება ამ ბურჟუაზიულ ქონისაგან და არსად მას არ წამოუყენებია წმინდა სოციალისტური პროგრამა.

დემოკრატიული პროგრამა წვრილი ბურჟუაზიულია თავისი წარმოშვებითა და ისტორიულად გერმანეთის ს.-დემოკრატიამ თავისი პროგრამის ეს ნაწილი ისესხა გერმანეთის ბურჟუაზიულ პარტიისაგან. ცნობილია, რომ მარქსი არსებითად წინააღმდეგი იყო პროგრამაში დემოკრატიული ნაწილის შეტანისა და მას „ბურჟუაზიულ ცრუ-მორწმუნოებად მიაჩნდა ეს. 1875 წელს თავის კონფიდენციალურს წერილებში გოტოს პროგრამის შესახებ მარქსმა გარკვევით გამოსთქვა თავისი შეხედულება დემოკრატიაზე და გაილაშქრა მისი ინიციატორების წინააღმდეგ მთელი ისტორია მუშათა მოძრაობისა და ის მეთოდები რევოლიუციის პროცესში, რომელსაც მიჰმართავდა მარქსი გარდამავალ პერიოდისათვის არსებითად განსხვავდებოდა დემოკრატიულ პროგრამისაგან.

1891 წელს ერფურტის ყრილობაზე გერმანეთის სოციალ-დემოკრატიამ ფორმალურად დაადასტურა გოტოს ყრილობის ცნება და ამით ნიადაგი ჩაუყარა და თავისი პრაქტიკულ პოლიტიკის საგნად გახადა დემოკრატიული პროგრამა, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს სოციალისტურ პროგრამასთან. (იხ. ჩემი წერილი „დემოკრატიზმი და სოციალიზმი“ „სახალხო საქმე“ № 511 და 512 1919 წ.)

„დოგმატური სოციალიზმის კრიზის“-ში ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვეთქვა, „პროგრამა მინიმუმსა და დემოკრატიზმს ბევრი საერთო არ აქვთ სოციალისტურ პოლიტიკასთან და სოციალიზმის სრულს ანტიპოდს წარმოადგენენ. დემოკრატიზმი გზას უკაფავს კაპიტალიზმსა და ქმნის მისი განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს. დემოკრატიზმი თავისი სოციალური და პოლიტიკური შინაარსით არ უარ-

არც სურვილები, სისრულეში მოიყვანოს თავისი ამოცანები. სთვლის რა თავს მტკიცე რწმენის პაციფისტად ვინშეინი შეუძლებლად სთვლის ინტელექტუალურ კომისიის წევრად დარჩენას.

ლეიპციგის ბაზრობის წარმატება.

ბერლინი. მარტის 23-ს ლეიპციგის ბაზრობაზე დამსწრეთა საერთო რიცხვი უდრის 16.600 კაცს: ეს რიცხვი ბევრად აღემატება წასული წლის გაზაფხულის ბაზრობის მონაწილეთა რიცხვს.

სახალხო პარტიის წევრთა დაპატიმრება

პარიზი მარტის 23. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა სახალხო თავისუფლების პარტიის ზოგიერთ წევრთა ბინაზე ბერლინში აღმოჩენილია საეჭვო დოკუმენტები და დაპატიმრებულია 13 კაცი. მოელიან შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებას რეიხსტაგში. გერმანიის პრესა იტყობინება, რომ ეს დაპატიმრებანი მოხდა ლეიტანდ როსბახის წინააღმდეგ მიმართულ კვლევა-ძიების გამო.

მიღებულია ახალი კონსტიტუციის კანონები

პარიზი მარტის 23. რუმინიის პარლამენტმა მიიღო კანონი ახალი კონსტიტუციის შესახებ გლეხთა და სხვა ფრაქციების სურვილის წინააღმდეგ.

სერბია და ბულგარეთი

რომი მარტი 23. სოფიიდან იტყობინებიან, რომ სერბია—ბულგარეთის კომისიამ, რომელიც მუშაობდა ორივე ქვეყნის შორის სადავო საკითხების გასაწესრიგებლად, დაამთავრა მუშაობა სრული შეთანხმებით.

საარჩევნო კანონის შეცვლა

პარიზი მარტის 23. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი საარჩევნო კანონის შეცვლის გარშემო.

მილიტარიზმის ფრონტზე

პარიზი მარტი 23. „ნიუირკ გერალდი" იტყობინება, რომ ამერიკის სამხედრო დეპარტამენტის ერთ-ერთ ექსპერტმა გამოიგონა ახალი თოფის ტყვია, რომელიც მიდის 1400 იარდით მეტ მანწილზე, ვიდრე არსებული სისტემების ტყვია. მრავალ-რიცხოვან ცდებმა დაგვიმტკიცეს, რომ ახალი ტყვია გაცილებიუ უფრო მეტ სისწორით მიდის სანიშნოზე, ვიდრე ძველი. ტყვიის ორივე ბოლო წამახვილებულია, რითაც მცირდება ჰაერის წინააღმდეგობა; ტყვია ბლაგვი ბოლოთი კი სტოვებს თავის შემდეგ უჰაერო სივრცეს, რომელიც აფერხებს ფრენის სისწრაფეს.

პროლეტარული სოლიდარობა

პარიზი „ბერლინერ ტაგებლატი" თავის კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობების თანახმად იტყობინება, რომ მიუხედავად საფრანგეთის აგიტაციისა, პოლონელი მუშები რურის ოლქში მიდიან ხელიხელ ჩაკიდებული თავის გერმანელ ამხანაგებთან.

მუსოლინი ფემინისტი

მილანი „კორიერე დელა სერა" იტყობინება, რომ მუსოლინი დასთანხმდა ითავჯმდომარეოს საერთაშორისო ფემინისტურ კონგრესზე, რომელიც გაიხსნება რომში მაისში.

ახალი სტილი ბალკანებზე

ბუქარესტი. რუმინიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ოსმალეთმა, რუმინიამ, ბოლგარიამ და საბერძნეთმა მიიღეს სამოქალაქო გრეგორიანული კალენდარი.

ახალგაზრდობის კომრნისტურ კავშირის წევრთა დაპატიმრება.

მოსკოვი. 23 მარტი. ახალგაზრდობის კომინტერნმა მიიღო მადრიდიდან დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ახალგაზრდობის კოსუნისტურ კავშირის მადრიდის საოლქო კომიტეტის მიერ მილიტარიზმის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიის გამო, ისპანიის მთავრობამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ კომიტეტის ყველა წევრები და კონფისკაცია უყონ ახალგაზრდობის კავშირის ორგანოს „ახალგაზრდა კომუნისტს" კომიტეტის რამოდენიმე წევრი, მათ რიცხვში მდივანიც, დაპატიმრებული არიან; დანარჩენებს დაეძებენ. მიუხედავათ ასეთი დევნისა, ანტი-მილიტარისტული კამპანია გრძელდება წინანდელი სიძლიერით.

მოქმედების ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება.

მოსკოვი. 23 მარტი. მოქმედების ცენტრალურმი კომიტეტმა პარიზში გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის პროლეტარიატის, ჯარის კაცთა, რკინის გზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მიმართ, რომელიც კიცხავს საფრანგეთის მთავრობის იმპერიალიზმს და მოუწოდებს პროლეტარიატსა და ჯარის კაცებს, რომლებიც მსახურობენ რურში, მხარი დაუჭირონ ვერსალის ზავის და ომის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებს. მოქმედების კომიტეტმა მოაწყო დიდი კრება, რომლის დასრულების შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა გერმანიის წარმომადგენელი და იტალიის ორი წარმომადგენელი. დაპატიმრებულებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც ამტკიცებენ, რომ დოკუმენტი, რომლის საშვალებით ბრალს დებენ მათ სახელმწიფოს „მშვიდობიანობის" წინააღმდეგ მუშაობაში, არის ყალბი.

რევოლიუციონურ ჯგუფთა საერთო კონფერენცია.

მოსკოვი. 13 მარტი. ავსტრიის კომუნისტურ პარტიის პროფკავშირთა საქმეების კომისია იწვევს 1 აპრილისათვის ავსტრიის პროფკავშირთა რევოლიუციონურ ჯგუფთა საერთო კონფერენციას. კონფერენციის დღის წესრიგშია: მოხსენება წითელ პროფინტერნის მე-2-ე კონგრესის გადაწყვეტილებათა შესახებ, მოხსენება კოოპერატივთა საერთაშორისო კონგრესის მოქმედების შესახებ, საკითხი უმუშევრობის შესახებ და კომისიის ხელ-ახალი არჩევნები.

ანტი-სემიტური მოძრაობა.

მოსკოვი. 23 მარტი. იმის გამო, რომ კიდევ გრძელდება ანტი-სემიტური უწესოებანი, ბუდაპეშტის უმაღლესი სასწავლებლები დაიხურა. მოხდა უწესობა სეგედინის უნივერსიტეტში.

რუსეთი.

პოლონეთის სახიფათო თამაში

მოსკოვი. 23 მარტი. ამხ. რადეკი „პრავდა"-ში თავის წერილში „პოლონეთის სახიფათო თამაში" სწერს: „პოლონეთის მთავრობის მიერ გამოცემულია მთელი რიგი წლების მობილიზაცია მოსამზადებელ სწავლისთვის ზაფხულისა და გაზაფხულის განმავლობაში საერთოთ, პოლონელი იარაღისაკენ იწვევს არა ნაკლებ 800.000 კაცისა. პოლონეთის ბურჟუაზიული წრეები ამ სამხედრო სამზადისს რურის ამბებით ამართლებენ. სამხედრო წრეებში გავრცელდა ხმა, თითქოს გერმანიასა და საბჭოთა რუსეთის შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით საბჭოთა რუსეთი ვალდებულია თავს დაესხას პოლონეთს უკეთუ უკანასკნელი საფრანგეთის იმპერიალიზმისა და გერმანიის ომში ჩაერევა. განა საჭიროა კიდევ გამეორება, რომ ასეთი სამხედრო კავშირი არ არსებობდა რომ ეს ხმები მხოლოთ სისულელეა. პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია მოიყვანოს არც ერთი ფაქტი დამამტკიცებელი იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს განზრახული აქვს პოლონეთზე თავდასხმა, მაგრამ ის კი ადვილი დასამტკიცებელია, რომ პოლონეთის რესპუბლიკის მთავარი სამხედრო ძალები გამზადებულია რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთის ფინანსები სამწუხარო მდგომარეობაშია. ცხადია, სამხედრო სამზადისისთვის ესოდენ დიდ ხარჯების გაღების დროს, **პოლონეთს გათვალისწინებული აქვს საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა. საბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივი აზრი უდიდეს** ყურადღებას უნდა აქცევდეს პოლონეთის მთავრობის ყოველს ნაბიჯს. ადგილებზე საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წითელ არმიის მდგომარეობას და ყოველ გვარ საეჭვო მოვლენას რესპუბლიკის დასავლეთ საზღვარზე. საბჭოთა რუსეთი უკვე გაფრთხილებულია მომავალ საშიშროების შესახებ. საჭიროა აგრეთვე მუშათა და გლეხთა მასსების გაფრთხილება ადგილებზე".

ესერების პარტიის უბრალო წევრების ყრილობა

მოსკოვი. 23 მარტი. ამხ. სტეკლოვი ეხება რა „იზვესტიაში" უბრალო ესერთა სრულიათ რუსეთის ყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილებას, სწერს: „ეხლა სრულიათ რუსეთის ყრილობის მონაწილეებმა უნდა გაავრცელონ ხალხში თავისი დადგენილება, მათ მართებს დაარწმუნონ ყველა ესერები, როგორც ისინი, რომლებმაც გასწყვიტეს კავშირი თავის პარტიასთან აგრეთვე ისინიც, რომლებიც სამწუხარო გაუგებრობის გამო, ჯერ ჯერ პარტიის რიგებში დგანან, რომ ისტორიამ უკვე გამოიტანა მათ მიმართ თავისი განაჩენი და წინააღმდეგობა განაჩენისათვის წინააღმდეგობა პოლიტიკურ სიკვდილისათვის თავის განწირვას ნიშნავს. მათ მართებს აუხილონ თვალი იმათ ვისაც ჯერ შეუძლია ხილვა და უთხრან იმათ, ვისაც შეუძლია სმენა, რომ ექსპლოატაციის მოსასპობათ და მშრომელ კაცობრიობის გასათავისუფლებათ საჭიროა ჩადგომა საერთაშორისო კომუნიზმის რიგებში".

ანრი ბარბიუსის წერილი

მოსკოვი 23 მარტი. „იზვესტია"-ში გამოქვეყნებულია ანრი ბარბიუსის წერილი პასუხათ თხოვნაზე დაჭრილ და ავადმყოფ წითელ-არმიელთა დახმარების სრ. რუსეთის კომიტეტის მიერ გამოცემულ კრებულისთვის წერილის გამოგზავნის შესახებ ანრი ბარბიუსი სწერს: „სალამი, რომელსაც გიგზავნით, არის ომის ყველა რევოლიონურ ვეტერანების სალამი. ჩვენ საფრანგეთში გავაერთიანეთ ომიდან ცოცხლათ დარჩენილთა წმინდა მხურვალე რისხვა, რათა გამოვააშკარავოთ იმპერიალისტურ ომის ნამდვილი მიზეზები. აღფრთოვანებულნი ჭეშმარიტ რევოლიუციონურ სულით და დიდებულ მაგალითით, რომელიც მოგვცა რუსეთის ხალხმა, ჩვენ უარვყოფთ პაციფიზმის კომედიას და ყოველგვარ ნახევარ-ზომას, რომლებსაც მიზნათ აქვთ კლასსობრივ დაბრმავების გაგრძელება. რა რიგ დიდი არ იყოს განსხვავება თქვენი რევოლიუციონურ შრომის არმიისა და იმ მონურ არმიის შუა, რომლის რიგებში ჩვენ ვიყავით, თქვენ ყოველთვის იპოვით ჩვენ შორის საერთო აღფრთოვანებით გამოწვდენილ ამხანაგურ ხელს".

მუშათა ცხოვრება.

მეტი ყურადღება სჭირიათ ავადმყოფ მუშებს.

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა კლასმა საკმარისი ბრძოლის ეტაპები გამოიარა, რომ უზრუნველეყო თავის თავი ავადმყოფობის და დავრდომილობის დროს და მიუხედავად იმისაც, რომ საქართველოს გასაბჭოების დღიდან ავადმყოფ მუშების უზრუნველყოფის საქმე დამზღვევი კასის სახით გაუმჯობესდა და გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბდა, მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს საქმე მაინც დათავებულად ვერ ჩაითვლება.

ავადმყოფ მუშათა განკურნებას ბევრ შემთხვევებში დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ, რაიც უსათუოდ დეფექტად უნდა ჩაითვალოს და რომ ეს ამბავი მართალია, საილუსტრაციოდ ერთი ფაქტი გვსურს აღვნიშნოთ.

ამას წინედ ერთ პატარა უსიამოვნებას ჰქონდა ალაგი დამზღვევი კასის ნერვიულ ავადმყოფობის ექიმ პანდოევთან, რომლის სამკურნალო იმყოფება რუსთაველის პროსპექტზე.

მე, როგორც ავადმყოფი, გამოვცხადდი მის სამკურნალო კაბინეტში საღამოს სურლ რვის ნახევარზე. ექიმ პანდოევთან მესამედ ვიყავი მისული და რასაკვირველია გამოცდილებით ვიცოდი, რომ მასთან მიღება სწარმოებდა 6—8 საათამდე. ერთხელ მის ბინაზე საღამოს 9 საათ. ვიყავი და იგი ვერ შესძლეს, როგორც ბოლშევიკების პარტიამ, რომელიც ერთ დროს დემოკრატიზმის პროგრამითაც გამოდიოდა.

მენშევიზმი დღესაც, როგორც ამ 30 წლის სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში შემუშავებულ პროგრამით გამოდის და დემოკრიტიული ლათაიებით ფიქრობს მსოფლიოს გამოსწორებას. აღდგენა კაპიტალიზმისა მთელი თავისი ატრიბუტებით—აი მენშევიკების დღევანდელი პროგრამა. ის, რაც ვერ შესძლეს კაპიტალიზმის მეთაურებმა, საერთაშორისო მენშევიზმი ზრუნავს მის გაკეთებაზე. არსებითად მენშევიზმის პროგრამა კონსერვატიულია და სრულებით არ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს. აღდგენა კაპიტალაზმისა და მისი გამაგრება ნიშნავს კვლავ ახალ საერთაშორისო ომების დაწყებასა და დაუსრულებელ ანარქიას. ამიტომ თანამედროვე მენშევიზმის პროგრამა რეაქციონურია და ეს პარტია ყველგან და ყოველთვის რეაქციონურ როლს თამაშობს. თუ მათი პრაგრამა ამ 30 წ. წინად კიდევ წარმოადგენდა პროგრესიულ ფაქტორს. (ამხ. ტროცკი ერთ თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატია იყო ცნობილი ეპოქა მუშათა კლასის განვითარებაში; ეს იყო ეპოქა არა რევოლიუციისა, არამედ რეფორმაციის) დღეს იგი აშკარა რეაქციის წყაროდ გადაიქცა.

ძველს ეპოქაში აღზრდილს, ოპორტიუნიზმისა და რეფორმების წიაღში განვითარებულს, ძველი მეთოდებით, პროგრამა, ტაქტიკითა და იდეოლოგიით შეიარაღებულ მენშევიზმს, არაფერი გაეგება თანამედროვე ცხოვრების პირობების: ამ პარტიას ვერაფერი ასწავლა ვერც საერთაშორისო ომმა და ომის შემდეგ შექმნილმა მსოფლიო მდგომარეობამ ვერც საერთაშორისო რევოლიუციამ და სამოქალაქო ომებმა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ მენშევიკებისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა რუსეთის რევოლიუციის აზრი, შინაარსი და მისი საერთაშორისო ღირებულება.

სიმონ ხუნდაძე.

შეცდომის გასწორება. პირველ წერილში („ტრიბუნა" № 42) შეპარულია კორექტურული შეცდომები: წერილის პირველ სვეტში სწერია: მენშევიკების **შადგები,** უნდა იყოს—**ბელადები,** მეორე სვეტში სწერია—**ანრი" შარშიერი,** უნდა იყოს—**ანრი ბარბიუსი.**

ვშირი თავის პარტიასთან აგრეთვე ისინიც, რომლებიც სამწუხარო გაუგებრობის გამო, ჯერ ჯერ პარტიის რიგებში დგანან, რომ ისტორიამ უკვე გამოიტანა მათ მიმართ თავისი განაჩენი და წინააღმ. განაჩენისათვის წინააღმდეგობა პოლიტიკურ სიკვდილისათვის თავის განწირვას ნიშნავს. მათ მართებს აუხილონ თვალი იმათ ვისაც ჯერ შეუძლია ხილვა და უნდა უთხრან იმათ, ვისაც შეუძლია სმენა, რომ ექსპლოატაციის მოსასპობათ და მშრომელ კაცობრიობის გასათავისუფლებათ საჭიროა ჩადგომა საერთაშორისო კომუნიზმის რიგებში".

ანრი ბარბიუსის წერილი

მოსკოვი 23 მარტი. „იზვესტია"-ში გამოქვეყნებულია ანრი ბარბიუსის წერილი პასუხათ თხოვნაზე დაჭრილ და ავადმყოფ წითელ-არმიელთა დახმარების სრ. რუსეთის კომიტეტის მიერ გამოცემულ კრებულისთვის წერილის გამოგზავნის შესახებ ანრი ბარბიუსი სწერს: „სალამი, რომელსაც გიგზავნით, არის ომის ყველა რევოლიონურ ვეტერანების სალამი. ჩვენ საფრანგეთში გავაერთიანეთ ომიდან ცოცხლათ დარჩენილთა წმინდა მხურვალე რისხვა, რათა გამოვააშკარავოთ იმპერიალისტურ ომის ნამდვილი მიზეზები. აღფრთოვანებულნი ჭეშმარიტ რევოლიუციონურ სულით და დიდებულ მაგალითით, რომელიც მოგვცა რუსეთის ხალხმა, ჩვენ უარვყოფთ პაციფიზმის კომედიას და ყოველგვარ ნახევარ-ზომას, რომლებსაც მიზნათ აქვთ კლასსობრივ დაბრმავების გაგრძელება. რა რიგ დიდი არ იყოს განსხვავება თქვენი რევოლიუციონურ შრომის არმიისა და იმ მონურ არმიის შუა, რომლის რიგებში ჩვენ ვიყავით, თქვენ ყოველთვის იპოვით ჩვენ შორის საერთო აღფრთოვანებით გამოწვდენილ ამხანაგურ ხელს".

მაინც განაგრძობდა ავადმყოფების სინჯვა-მიღებას. მაგრამ ამ დღეს კი, თურმე ნუ იტყვით, პანდოევი „პეტროგრადულად" მოქცეულა და ერთი საათით საათის ისარი უკან გადაუწევია, ე. ი. ავადმყოფთა მიღების დროთ დაუწესებია საღ. 5—7 საათამდე. ჩვენ, აბა საიდან გვეცოდინებოდა პანდოევის ეს ახალი დრო. მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობის კომისარიატის ქვე-განყოფილებიდან მიღებულ ფურცელზე, რა თქმა უნდა, არ არის აღნიშნული განსაზღვრული საათი ექიმთან მისვლისა. სამკურნალოში ვიყავით მისული სულ 5 სული, 3 მამაკაცი და 2 დედაკაცი. (სამწუხაროდ მათი გვარები ვერ დავიწერე.) პანდოევმა ჯერ ერთ მამაკაცს დაუწყო ხმა მაღალი ლაპარაკი და რაღაცა რეცეპტით გაისტუმრა ცივი უარით. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და კატეგორიულად გამოგვიცხადა, რომ:—ტყუილად ნუ იცდით, სულ ერთია მე თქვენი მიმღები არა ვარ, რადგანაც **7 საათს გადაცდენილიაო.**

რა თქმა უნდა უკან გაბრუნება შეიძლება ვისმესთვის „იოლი საქმე" იყოს, მაგრამ მე მალონებდა, რომ ამ დღეს ძლიერ შეუძლოდ ვიყავი (გაცივებისაგან) ძლივს მივედი მის ბინამდე და მეორეც ის, რომ მეორე დღე კვირა იყო და მაშასადამე ორშაბათს ხელახლა უნდა მივსულიყავი.

ორშაბათს ხელახლა მივედი სამკურნალოში, **7 საათს 15 წუთი აკლდა,** მაგრამ პანდოევის ბინის კარები დაკეტილი დამხვდა. ამის შემდეგ ჯანმრთ. კომისარ. ქვე-განყოფილებიდან მოცემულ საავადმყოფო ფურცელს რასაკვირველია ვადა გაუვიდა და დამჭირდა ახალი ფურცლის მიღებისთვის სიარული.

ასეთ პირობებში ავადმყოფების მკურნალობა რომ არ შეიძლება, ეს უდავოა, მაგრამ ჩვენ საკითხის სულ სხვა მხარე გვაინტერესებს:

მოდი ვსთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს ჯანმრთ. კომისარ. 20-ცი ან 30-თი ავადმყოფი გაუგზავნა პანდოევს სამკურნალოში და ამავე დროს ერთი ამდენიც კერძო „პაციენტები" მიუვიდნენ და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც სამკურნალოში ავადმყოფთა მიღება სწარმოებს **მხოლოდ 5—7 საათამდე**—რა უნდა ჰქნას ასეთ შემთხვევაში პანდოევმა? ცხადია, ვერ მოასწრებს ამდენი ავადმყოფების გასინჯვას და რა კი შესრულდება 7 საათი ის გაუსინჯველად უკანვე გაისტუმრებს ავადმყოფებს და, თუ მოასწრო ყველას გასინჯვა, გასაგებია, თუ როგორც „გასინჯავს" საწყალ ავადმყოფს.

ასეთ არა ნორმალობას სხვაგანაც ექნება ალბად ალაგი და ვფიქრობთ, რომ ამას დამზღვევმა კასამ უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მოაგვაროს ტეხნიკურად ეს საქმე.

ავადმყოფი მუშა დ. მ—ლი.

ახალი ამგები.

— რედაქციამ მიიღო სამეცნიერო კრებული **„ჩვენი მეცნიერება"** შემდეგი შინაარსით:

1. პროფ. დ. უზნაძე—Jmpersonalia.
2. დოცენტი ს. დანელია—ჭეშმარიტების გვარი.
3. დოცენტი გრ. ნათაძე—ჰექტომორები უძველეს საბერძნეთში.
4. პროფ. კ. კეკელიძე—ესქოტოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში.
5. სერგო გორგაძე—ნეოპლატონური ფილოსოფიის—ერთი უძველეს ქვალთაგანი ქართულ მწერლობაში.

6. Prof. E. Zereteli—Zmei Dekmaler der qriechisclen Sehift in Aegypten.

7. დოკენტი ლეონ მელიქსეთ-ბეგოვი—მასალები ტფილისისა და სომხეთის სიძველეთა ისტორიისათვის.

8. პროფ. გ. ახვლედიანი—ორი ერთსახა პრეფიქსი ქართულ ზმნაში.

9. პროფ. აკაკი შანიძე—ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში.

10. ვ. თ-ფ-ია სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით.

11. ნოე ყიფიანი—გეოლოგიური შენიშვნები.

12. პროფ. პეტ. მელიქიშვილი—ქიმია და ქიმიური მრეწველობა

13. პროფ. ა. რაზმაძე—მრუდთა ერთი თვისების დამტკიცება და ამ თვისების გამოყენება დიფერენციალურ აღრიცხვაში.

14. მისივე—Sur une formule de la movenne.

15. პროფ. ალ. ნათიშვილი—ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზდების პრობლემა.

16. პროფ. ს. ამირეჯიბი—კვების საკითხის შესახებ.

კრებულში მოთავსებულია სრული სტატისტიკური ცნობები სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობისა, სტუდენტთა რაოდენობისა და აგრეთვე ჩართულია აქვე უნივერსიტეტის ღერბი, სურათი და დამსახურებულ პროფ. მელიქიშვილის, ცაგარლის და რექტორის ივ. ჯავახიშვილის სურათი.

— **ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა საქართვ. ცენტრ. აღმასკ. კომიტ. პრეზიდუმს, მოსარწყავ საზოგადოების „მაშველი“-ს საჭიროებისათვის გადადებულ იქმნას 15.000 მანეთი ოქროთი. პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. სახალხო კომისარიატის საბჭოს წინაშე ხსენებულ საზოგადოებისთვის საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **შინაგან საქ. კომისარიატის შუამდგომლობა.** ს. ც. აღ. კ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა თიანეთის მაზრაში არსებულ 12 სახლის სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების შესახებ.

— **სახელმწიფო ღერბის შესახებ.** სოკ. ც. აღ. კ. პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი სახელმწიფო ღერბის ბეჭედის სარგებლობის შესახებ. პროექტი სარედაქციოდ გადაეცა იუსტიციის სახ. კომისარიატს.

— **მიწად-მოწყობის კომუნის პროექტი.** ს. ც. აღ. კ. პრეზიდიუმმა მიწად-მოწყობის კომუნის პროექტი განსახილველად და შესამუშავებლად გადასცა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს.

— **აბაღა სერალის ქარხანა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ს. ც. აღ. კ. პრეზიდიუმის წინაშე, რათა სადგურ აბაღა სერალის ყოფილი ბამბის ქარხანა გამოცხადებულ იქნას სახელმწიფო საკუთრებად.

— **უმუშევარ მოზარდთა კვირეული.** განათლების სახალხო კომისარიატმა ყველა ტეხნიკუმის გამგეებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც ეუწყებად მარტის 24-დან აპრილის 1-დე განზრახული უმუშევართა კვირეულის ჩატარებას ხელი შეუწყონ, საჭიროა ამაში მონაწილეობა მიიღონ ტეხნიკუმების უფროს კლასების მოწაფეებმა და გაანთავისუფლონ იგინი მეცადინეობიდან აღნიშნულ კვირეულში მონაწილეობის მისაღებად.

— **მიწად-მოქმედების კომისარიატში.** მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა სოფელ დიღომში ტყის მოშენებას. ითესება ფიჭვი და სხვა ხეხილი, მცენარეები. ჯერ-ჯერობით დათესილია 3 დესიატინა მიწა.

— **ფეხსაცმელების მიღება.** ამ. კავკ. ტრანსპორტის მუშათა კოოპერატივი ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს ფეხსაცმელების დიდძალ პარტიას თავის წევრთა შორის გასანაწილებლად. ფეხსაცმელების განაწილება მოხდება მიხეილის და კირკის ქუჩებზე არსებულ კოოპერატივებში.

— **ფართლეულება რკინის გზის მუშებისთვის.** ამ. კავკ. რკინის გზის ტრანსპორტის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო სახ. ბანკთან რკინის გზის მუშებისათვის შეღავათიან ფასებში ფართლეულობის მიცემის შესახებ.

პარტიაში

— კვირას, მარტის 25, რედაქციაში შესდგება მთავარ კომიტეტის მორიგი სხდომა.

—

კვირას, მარტის 25-ს, საღ. 6 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიულ ამხანაგების კრება. ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

მდივანი: **ხოფერია**.

კომპარტიის რიცხვითი შემადგენლობა

ამიერ-კავკასიაში პარტიის წევრების რიცხვი 25.000 აღწევს. წევრების ყველაზე დიდი რიცხვია საქართველოში—11.544 და 128 კანდიდატი. ასეთი არანორმალობა აიხსნება მეორე პარტიული გაწმენდით, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში. აზერბეიჯანში 6.551 წევრია, ამხ. კიროვის უკანასკვნელი ცნობით კანდიდატების რიცხვი კი 2.223 უდრის. სომხეთში 2657 პარტიის წევრია და 2187 კანდიდატი.

საოლქო მასშტაბის პასუხისმგებელი მუშაკი 40 კაცია, საქართველოში პასუხისმგებელ მუშაკთა—ცენ. კომიტეტის წევრების და სახალხო კომისრების რიცხვი 70-ია, აზერბეიჯანში—39, სომხეთში—36, ამ რიგად სულ ამიერ-კავკასიაში 185 პასუხისმგებელი მუშაკია.

შემადგენლობა მეტად საინტერესოა. რუსეთში პარტიაში დაახლოვებით 46,5 პროც. მუშებია, 24 პროც. გლეხები და 24,2 პროც. მოსამსახურეები. ამიერ-კავკასიაში სხვა სურათია: აქ 31,6 პროც. მუშა, რუსეთში—46 პროც., 43,2 პროც. გლეხი, რუსეთში—24 პროც. და 13 პროც. მოსამსახურე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უპარტიოებშიც ასეთ სურათს მივიღებთ.

აზერბეიჯანის კომ. პარტიის მუშური შემადგენლობა 52,2 პროც. უდრის, უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში, გლეხობა—21,2 პროც., მოსამსახურეები—14 პროც. და დანარჩენები—12,6 პროც. სომხეთს მეორე ადგილი უჭირავს. მუშური შემადგენლობა—23,1 პროც., გლეხობა—38,5 პროც., მოსამსახურეები—13 პროც. საქართველოს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მისი მუშური შემადგენლობა—21,8 პროც.-ია, გლეხობა—52,7 პროც. არც ერთ ორგანიზაციაში ამას ადგილი არა აქვს,—მოსამსახურეების—13,8 პროც. და სხვა—8,7 პროც. საჭირო იყო საქართველოში პროლეტარული ელემენტების გავლენის გაძლიერება და პარტიის გაწმენდამ ამ მხრივ სათანადო შედეგები მოგვცა.

თუ ავიღებთ მთელ საქართველოს პაარტიის მუშათა შემადგენლობის ხვედრ წონას, ჩვენ დავინახავთ, რომ 9—10 პროც.-ი მოიმატა საქართველოს ორგანიზაციის ხვედრმა წონამ.

ბაქოს ორგანიზაციაში საჭიროა კიდევ მეტი მუშათა ელემენტი შეიყვანოთ, აგრეთვე საქართველოშიაც.

საორგანიზაციო მხრივ ყველაზე უფრო ძლიერია აზერბეიჯანის ორგანიზაცია, ბაქოს ორგანიზაციის და პროლეტარულ ელემენტის წყალობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰაეროსნობის მსოფლიო გამოფენა შვეიცარიაში. მიმდინარე წელს ქალაქ ბოტენბერგსში გაიხსნება ჰაეროსნობის მსოფლიო გამოფენა; ეს გამოფენა ქალ. ბოტენბერგსის 300 წლის დაარსების დღესასწაულთან არის შეუერთებული. გამოფენაზე საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამომუშავებულ იქნება ტარიფი, როგორც სასპორტო, ისე სამგზავრო, სავაჭრო და საფოსტო ჰაეროსნობისთვის: მოტორების ძალების და მათი აფრენის სიმაღლის შესაფერათ გამომუშავებულ იქნება პირობები ჰაეროპლანებიდან ფოტოგრაფიული სურათის გადაღების, ფოსტის, ყუმბარების და სხვა სასროლი ნივთიერების გადმოსროლის და აგრეთვე ზომები ჰაერში კატასტროფიდან გაფრთხილებისათვის. გერმანიას ამ გამოფენაზე განსაკუთრებული განყოფილება ექნება.

როგორ ვითარდება ავიაცია.

ჰაეროსნობის ძლიერი განვითარების გამო, ზოგიერთ სახელმწიფოთა ბიუჯეტებს უკვე დაეტყო ეს ახალი მუხლი მნიშვნელოვანი ხარჯებისა. ინგლისში 1920 წელს სავაჭრო ფლოტისათვის გაცემული იყო 60.000 გირ. სტერლინგი, 1922 წელს—200.000 გირ. სტერლ. საფრანგეთში. 1920 წელს სავაჭრო ავიაციისთვის გაცემული იყო 8.000.000 ფრანკი, ხოლო 1921 წელს 41.382.000 ფრანკი. იაპონიის მიერ გადადებული არის მეტად მნიშვნელოვანი თანხა—ნახევარი მილიარდი იკანი, საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განვითარებისთვის საჰაერო ფლოტის საშუალებით.

პარლამენტი გრამაფონში.

გერმანიის რეიხსტაგში, საორატორო ტრიბუნის ორსავე მხარეს დადგმული არის მეტად დიდი ხმის მიმღები აპარატები, რომლებიც იღებენ ყველა იმ სიტყვებს, რომლებიც ტრიბუნაზე იქნება წარმოთქმული; ასე რომ მომავალ თაობას დასჭირდება მხოლოდ გრამაფონის შეძენა იმისათვის, რომ მოისმინოს თუ როგორ იბრძოდენ და მჭერმეტყველობდენ გელფერიხი ან ბრაიდშაიდი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

— **ავლაბრის მუშათა კლუბში.** კვირას, 25 მარტს, ადგილობრივ დრამატიულ სცენის-მოყვარეთა კოლექტივის მიერ, წარმოდგენილი იქნება 5 მოქმ. ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა „ავაზაკები“.

—

— **29 მარტს,** რუსთაველის თეატრში განზრახულია ბენეფისი დამსახურებულ მსახიობის ნ. გოცირიძისა. წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება საქართველოში“.

— **სახალხო სახლი.** 16 მარტს, პარასკევს, სახალხო სახლში. ქართულ დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იყო მხიარული ვოდევილები „ბიძიასთან გამოხუმრება“ და „სიმართლე“ პირველი ვოდევილი მეტად სუსტად და უგემურად ჩაატარეს მსახიობებმა, ამ სისუსტის უმთავრესი მიზეზი გახლდათ, ქ. №, რომელიც ამ საღამოთი პირველადა ვნახეთ სცენაზედ. მან თავისი უშნო და ყოვლად შეუფერებელი ჟესტიკულიაციით ცივი წყალი გადაასხა მაყურებელ საზოგადოებას, რომელიც სამართლიან გულისწყრომას აცხადებდენ ანტრაქტზედ. ან რა საჭირო იყო და რამ აიძულა რეჟისორი, რომ ასეთ გამოუცდელ პირს მიანდო როლი, რომელიც პიესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს? მით უმეტეს იმ დროს, როდესაც დასში არიან გაცილებით დახელოვნებულნი და შესაფერი მსახიობი ქალნი, რომელთაც შეეძლოთ როლის უკეთ შესრულება; მეორე ვოდევილმა, „სიმართლე“-მ გაცილებით უკეთესად ჩაიარა და ცოტათი გააქარწყლა პირველი ვოდევილის შთაბეჭდილება. კარგები იყვნენ ს. რომანიშვილი, და ნ. გოცირიძე, რომელთაც კარგის თამაშით ასიამოვნეს საზოგადოება, არა უშავდათ რა დანარჩენ ამსრულებელთაც.

უკანასკნელი განყოფილება შესდგებოდა კონცერტისაგან, კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. აკადემიურ გუნდმა შეასრულა რამოდენიმე №№ ქართული სიმღერებისა, როგორც ხალხური კილოები, აგრეთვე ნოტებზედ გადაღებულნი. სიმღერები კარგად იყო შესრულებული და საზოგადოებას მოეწონა, წარმოდგენა-კონცერტს ხალხი ნაკლებად დაესწრო.

მარტის 18 მარტს, ამავე დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა არციბაშევის ოთხ მოქმედებიანი პიესა „ომი“. უნდა ითქვას, რომ ეს პიესა თავის თავად დიდს არაფერს წარმოად ენს, როგორც დრამატიული ნაწარმოები. დღევანდელს მომენტში და ისიც სახალხო თეატრის აუდიტორიისათვინ, რომელთა სულსა ღა გულს ამ გვარი პიესები არაფერს ეუბნება და მათ ამ ჟამად სხვა სახის და შინაარსის პიესები ესაჭიროებათ, აკი ამიტომაც დამსწრე საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეძინა წარმოდგენის დროს, ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ამგვარი პიესების შერჩევა სახალხო სახლისთვინ ისიც ასეთის უვარგისის „ანსამბლით დადგმული, როგორიც იყო 18 მარტს. წარმოდგენამ მეტად ცუდად ჩაიარა, ვინაიდან რეჟისორს თავადაც ეპუსაგები როლი მიენდო ახალგაზრდა გამოუცდელ ქალის მოყვარისათვინ (ლოლოფეხანიძე), რომელსაც ითავისუფლად სიტყვა ვერ გამოუთქვამს, რადგანაც ენა არ ემორჩილება და მოსკოვის მაგიერ მოშკოვშ ამბობს, ამასთანავე არავითარი განცდა, შესაფერისი მიმოხვრა არა აქვს, იმდენად შეუფერებელი იყო იმისი თამაში, რომ ყოველი მისი ხმის ამოღება და ფრაზა საზოგადოებაში უადგილო სიცილ-ხარხარს იწვევდა, სუსტი იყო იგრედვე ოფიცრის როლის ამსრულებელი თავდგირიძეც, რომლის თამაში მეტად ტლანქი და მოუხეშავი იყო. საერთოდ ყველა მონაწილენი სისუსტეს ხელს უწყობდნენ, რამაც უარესათ გააუფერულა ეს წარმოდგენა. რეჟისორს და აქაურს გამგეობას მართებს მეტი სერიოზული ყურადღება მიაქციოს როგორც პიესების ამორჩევას, აგრედვე მის კარგათ მომზადებას წარმოსადგენათ, თორემ ამ გვარი წარმოდგენებით ფართო მასას ვერ მიიზიდავს თეატრში, რაც ამ უკანასკნელ თვეს უკვე ემჩნევა.

ჰერმესი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი!

1919 წლამდე მე ვირიცხებოდი საქ. სოც.-ფედ. პარტიაში, შემდეგ კი თავს ვსთვლიდი უპარტიოთ, დღიდან ამ განცხადებისა ვეწერები მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში.

დომენტი წივწივაძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 419 ნომერში, ახალ. ამბებში მოთავსებული იყო, ვითომც თებერვლის 14-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილიყოს ჩვენის გაზეთის თანამშრომელი, ახალგაზრდა პოეტი დავით კობიძე (დ. ივანიშვილი).

ეს ცნობა შემცდარი აღმოჩნდა.

დ. კობიძე ცოცხალია და ეხლა ტფილისში იმყოფება.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ Ს. Ს. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

აცხადებს, რომ 26 მარტს ხსენებულ სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1) დღის 12 საათზე დანიშნულია **წერილობითი შეჯიბრება** 1923 წლის პირველი აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1-ᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲤᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ:

ბაქო, აჯიქაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, აღსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲤᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ქიურდამირი, ლიაკი, მიუსუსლი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი, განჯა, დალიარი, საგირი, ტაუზი, აღსტაფა, სუგმაიდი, დივიჩი, კიზულ-ბურუნი, კუსარ-ჩაი, ალაგეზი, იაშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი (საჭიროა შეკეთება).

მეოთხე კლასის გუფეტის: ბაქოს სადგურში.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, სანგაჩალა, აჯიქაბული №№ 1 და 2, ქიურდამირი, ლიაკი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, დალიარ-საგირი, ტაუზი, აღსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნი. კალაგერანი, ახტალა, სარდარ-აბადი, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევანი.

ᲡᲐᲠᲘᲠᲤᲐᲠᲔᲨᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ:

ბაქო. ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ევლახი, განჯა, ტაუზი, სანაინი. ერივანი და ნახიჩევანი.

ᲤᲐᲠᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ: ქიურდამირი და განჯა.

ᲮᲘᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ: განჯა.

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲡ: ბაქოში.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მოვალენი არიან ჩაუშვან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტში საბჭოს კარებთან ამისთვის დადგმულ სპეციალურ ყუთში ან თავის დროზე გამოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე, რომელიც გადმოცემული იქნება პირადად ან გამოიგზავნება ფოსტით გაკეთებული უნდა იქნას შემდეგი წარწერა: ბუფეტების, საპირფარეშოების და ფარდულების იჯარაზე შეჯიბრებისათვის, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სურთ აიღონ იჯარით ან რა აქვთ გაგზრახული საიჯარო ქირა ოქროს მანეთებში.

განცხადებასთან დართული უნდა იქნას: 1) კვიტანცია განზრახული საიჯარო ქირის არა ნაკლებ 10 პროც. ბეს შეტანის შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამდენიმე წარმოების აღება, თითოეულის შესახებ უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადება და 10 პროც. ბე თითოეული ამ წარმოების შესახებ განზრახული საიჯარო ქირისა. 2) შეჯიბრებაში მონაწილეთა განცხადებებზე გადახდილ უნდა იქნეს საღერბო გადასახადი. იჯარით გაცემის დროს რკინის გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებსაც გზების მეურნეობა მოითხოვს. 3) ბუფეტების, საპირფარეშოების და სავაჭრო ადგილების ახლანდელი მოიჯარადრეები, რომლებსაც ამა წლის პირველი მარტისათვის არ გადაუხდიათ სრულად საიჯარო გადასახადი, შეჯიბრებაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, 10-დან დილის 11 საათამდე რკინის გზების სამმართველოში (ტფილისი, ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

№ 305 (3—2)

ტირაჟი 1 700 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა ალუზენშტეინის ქუჩ. № 2.